

სპორტიელი

ეროვნული
ნიგლირთი

სპორტული გაზეთი

ორშაბათი 23 თებერვალი 2004 №39 (2058)

ფასი 50 თეთრი

ესეც ჯახირი რუსეთთან ჯახაბდა



საქართველო 4:3:10 ესპანეთი. ეს იყო 3 წლის წინ რუსთავეში...

როცა რუმინეთი ჩვენს მძლეველ პორტუგალი-ას ბუქარესტში თავ-ბედს აწყველინებდა, საქართველოს დაულაგებელი ნაკრები ესპანეთში ჯახირობდა. აქამდე ბორჯღალოსნებს ესპანელებთან მაინც არ ექმნებოდათ პრობლემები, ნინა სამ შეხვედრას ჯამში 11:31 უგებდნენ და ლელოც საშუალოდ თამაშში ოთხჯერ მეტი გაჰქონდათ. მაგრამ დროება შეიცვალა, სამწუხაროდ, არა უკეთესობისკენ და საქართველოს ექსპერიმენტულ ნაკრებს ერთა თასის მაჩანჩალასთან ფრეც მიღწევად ეთვლება. გუშინ ტარაგონაში ორჯერ დანიინაურდნენ მასპინძლები და ორჯერ მოუხდათ წვალება ბორჯღალოსნებს. ამ ულელოო და ულაზათო თამაშში მეორედაც გაათანაბრეს, მეტი კი ველარ მოახერხეს. საბოლოოდ, სამარცხვინო ფრე, აი, ჩვენი „მომავლის ნაკრების“ შედეგი. აქ ესპანელთა სხვა შედეგის მოტანა ეგების — საქართველოს კინალამ მომგები ესპანეთი ერთი კვირის წინ რუსეთში ნ:36 განადგურდა. 6 მარტს კი რუსეთი მოდის...


არსენა და არსენალი ვეღას ართემევენ და არაპის აკლევენ ბაღონინაოზა მილანისთვის



ესპანოლი — რეალი 2:4. რონალდომ „ესპანიოლის“ კარი ორჯერ მოიციტა



ჩელსი — არსენალი 1:2. საჩემპიონო რბოლაში „არსენალი“ ისე გაიქცა, ჩელსი“ დამწვევი აღარ არის



მილანი — ინტერი 3:2. „ინტერის“ ორი დამლუპველი: კაკა და ზეედორფი

ბადრი კეთილაძის ფოტო

REUTERS პარსელონიდან

REUTERS ლონდონიდან

REUTERS მილანიდან

შაბათს ავსტრიულ ბუნდესლიგაში ჩემპიონატი განახლდა. დავით მუჯირის აუტსაიდერ „შტურმს“ სატურნირო ცხრილის მეზობელი „ზალცბურგი“ ჰყავდა მეტოქედ. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. ბევრსაც ეცადა; მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა გუნდმა ბევრიც ვერაფერი დააკლეს კერკეტ მეტოქეს. დავით მუჯირს გუშინ გრაცში რომ შევხვდით, კითხვებზე პასუხმა აქეთ მოგვინია...



დავით მუჯირი

დავით მუჯირს სასწაული არ უნდა

— რა ქნეს ჩვენებმა კვიბროსზე?
— სამივე თამაში წააგეს.
— საწყენია, ვიცი, რომ შესუსტებული შემადგენლობა გვყავდა, მაგრამ... მწვრთნელი ჯერაც არ დაუნიშნავთ?
— ოფიციალურად არა, მაგრამ ბიშოვეცი იქნება... გული ხომ არ დაგწყდა, კვიბროსზე რომ არ გამოვიძახეს?
— ნაკრებში მიწვევა გამიზარდებოდა, მაგრამ სამივე მატჩში სათამაშოდ ავსტრიელები მაინც არ გამიშვებდნენ. „შტურმს“ ვჭირდები, ფაქტობრივად, ჩავვყევი ძირითად შემადგენლობაში საკონტროლო მატჩებისას და მწვრთნელმა მეორე წრის პირველ თამაშშიც შეუცვლელად მათამაშა.

— „ზალცბურგი“ „შტურმის“ უშუალო კონკურენტი, თქვენ კი 0:0 ითამაშეთ. შეხვედრის წინ კი იმედოვნებდი, რომ გაიმარჯვებდით...
— მეტოქემ გაგვაკვირვა, ისეთი ორგანიზებული დაცვა ითამაშა, აქ ყველა გაოცებული დარჩა. „ზალცბურგს“, ფაქტობრივად, შეცდომა არ დაუშვია დაცვაში, ჩვენ კი მადრიდის „რეალი“ არ ვართ, ასეთი დაცვა გავგეხსნა. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალობის ხარჯზე ერთ-ორჯერ როგორც შევალწიეთ მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოვიდა.
— შენ თამაშს როგორ შეაფასებ?
— ორჯერ მქონდა საოლე მომენტი, ერთხელ

საჯარიმოს გარედან დარტყმული მცირედით ავაცილე, მეორედ კი ათილედ მეტრიდან მეკარემ ამიღო. მთლიანობაში ურიგოდ არ მითამაშა იმის გათვალისწინებით, რომ ეს წლეულს პირველი ოფიციალური მატჩი იყო.
— თქვენს გუნდს შარშანდლისგან განსხვავებით პროგრესი თუ ეტყობა?
— რა ვიცი, წესით, არ უნდა გავვიჭირდეს ბუნდესლიგაში დარჩენა. ავსტრიულ ჩემპიონატში საქმე ისე აეწყო, რომ ხუთი გუნდი ევროსაგზურებისთვის იბრძვის, ხუთი — ბუნდესლიგაში დარჩენისთვის. მეორე ხუთეულში მეტ-ნაკლებად თანაბარდლოვანი გუნდები არიან. რადგან ქველა ლიგაში ერთი გუნდი ვარდება, სასწაული უნდა მოხდეს, რომ ის ერთადერთი „შტურმი“ აღმოჩნდეს.
მომდევნო ტურში სტუმრად „დმიტას“ ვხვდებით და თუკი ისევ შემართებით ვითამაშეთ, მეტოქეს ჩვენი დამარცხება გაუჭირდება.

ბაატა კვანტალიანი



დავით მუჯირი

ქართველებმა თავს უზველეს

კიევის „არსენალსა“ და ლუცკის „ვოლინიში“ ერთბაშად ექვსი ქართველი ფეხბურთელი ისინჯებოდა. სილაგაძე-ჩალაძის დუეტს „არსენალთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად თითქოს აღარაფერი აკლდა, ისევე როგორც მალანია-ვაშაკიძისას „ვოლინთან“, მაგრამ ბოლო მომენტში უკრაინული გუნდებიდან ყველა ჩვენებურმა აიკრა გულა-ნაბადი და სამშობლოს მოაშურა. ბუნებრივია, მიზეზით დავინტერესდით და თბილისში დაბრუნებულ ირაკლი მამუკაძეს შევხვდით

— სიმართლე გითხრა, ახლაც ვერ გავრკვეულვარ, რა მოხდა. „ვოლინთან“ კონტრაქტის პირობებზეც კი შევთანხმდი და გუნდს ახალ მოსამზადებელ ეტაპზეც უნდა გავყოლოდი, მაგრამ მოულოდნელად გადაწყდა, რომ ახალწვეულებს აღარ აიყვანდნენ და მე თბილისის ბილეთი ამიღეს. ბოლოს გავიგე, რომ „ვოლინს“ და „არსენალს“ საქმეები ცუდად მისდით, რადგან მაქინაციებში არიან გარეულები და მათ საქმეებს იძიებენ. შესაძლოა, ორივე კლუბში რეორგანიზაციაც დაიწყო. მოკლედ, საქმეები იმდენად აურიათ, რომ არც სილაგაძემ და ჩალაძემ ისურვეს დარჩენა.
— ქართველები ყველა წამოხვედით?
— მათ გარდა მალანია და გონჩაროვიც წამოვიდნენ. იქ დარჩენას ყველანაირი აზრი დაეკარგა.
— კარიერას საქართველოში გააგრძელებ?
— ჯერ თბილისის „დინამოსთან“ მაქვს საქმეები გასარკვევი. თუ ეს ვარიანტი არ გამოვიდა, სხვა ქართულ გუნდში ჩავამთავრებ სეზონს.

დავით მამუკაძე

სიონი: ახალი ბალახი და ძველი ელდარი

სამეორეეტიპაო სამზადისისას ბოლნისურმა „სიონმა“ წინა კვირაში სამი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ქვემოქართლებმა ჯერ რეგიონალური „თბილისის“ მოუგეს 5:0, მერე 2:1 „დილას“ სძლიეს. გუშინ კი „სიონმა“ „სპარტაკთან“ თივლიან მატჩში 2:2 ითამაშა. „თბილისის“ „სიონმა“ ბოლნისურ ახალ მოედანზე უმასპინძლა. პირველი ეტაპის ბოლოს ბოლნისელებმა „თამაზ სტიფანიას“ ძველი საფარი აჰყარეს და ახლის დაგებას შეუდგნენ. ახალ მოედანზე თამაში ჰეთ თრიქით დააჭაშნიკა გიორგი შენგელიამ. „დილას“ თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში გაუჯიბრნენ სიონელები. გოგოლაძის სადრეო გოლი პირველ ტაიმშივე გაქვითა გორელმა მუშკუდიანმა. ბოლნისელთა გამარჯვების

გოლი კი ყაზახეთიდან დაბრუნებულმა ვეტერანმა თავდამსხმელმა ელდარ გვასალიამ გაიტანა. გვასალია შარშან „სიონიდან“ წავიდა ყაზახეთში, თუმც იქ საქმე ვერ ააწყო და საქართველოში დაბრუნდა. ბოლნისელთა თქმით, ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, დარჩება თუ არა ელდარი „სიონში“.
თემურ მახარაძემ „სპარტაკთან“ გუშინდელი მატჩი სამარქაფოებით დაიწყო, მაგრამ მეტოქემ ტაიმი 2:1 რომ მოიგო, ძირითადები შეუშვა მოედანზე, თუმც „სიონმა“ მხოლოდ გათანაბრება შეძლო. ბოლნისელთა გოლები გიორგი შენგელიას და შალვა ისიანის ანგარიშზეა.

ბაატა კვანტალიანი

რაბი გოლმს და სხვებზე

რაბი ალთაიძეს რუსეთში გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. თურქეთში როსტოველებს ლატვიური „დინაბურგი“ 7:0 შემოეთახათ. როსტოველებმა პირველად მოუყარეს თავი კლუბის ამჟამინდელ უძლიერეს შემადგენლობას — გუნდს ნაკრებებში გაშვებული ფეხბურთელებიც დაუბრუნდნენ. ალექსიძემ ორივე ტაიმი სრულად ითამაშა, გოლებიც გაიტანა და სხვებიც ახეირა. როგორც ჩანს, რაბი „როსტოვის“ მთავარმწველოდ სახელს იმკვიდრებს

— ლატვიელები ბევრს კი ეცადნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ისინი ძირითადად სირბილის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას. იოლად, 7:0 კი მოვიგეთ, მაგრამ საკმაოდ დაღლილი ვარ. მწვრთნელი ჩემს ორივე ტაიმში გამოყენებას არ აპირებდა, მითხრა, არ მინდა, ზედმეტად გადავალალო. მაგრამ შესვენებაზე ვთხოვე, არ გამოვეცვალე. დამთანხმდა, ოღონდ ის მითხრა, თუ დალისმაგვარი ან ტკივილი იგრძენი, ხელი ასწიე და შეგცვლით.

— შეიდი გოლიდან შენზე რამდენია?
— ორი თავად გავიტანე და სამიც პარტნიორებს გავატანინე. აქ ხომ ბევრჯერ მკითხეს, ქუსლით პასი როგორ გააკეთე ესენგეზო, პოდა, დღეს იმნაირივე პასით ჩვენს კაპიტან ოსინოვს გავატანინე. მეც ლამაზი გოლი გავიტანე, სწორედ ისეთი, როგორც ფინალში. კანიენგამ მარჯვენა ფლანგიდან ჩამოაწოდა, მე შეუჩერებლად მარჯვენა შევაგებე და ცხრიანში ჩავსვი. მეორე გოლი დასწრებაზე გავიტანე. მოკლედ, ნელ-ნელა საკუთარ თავს ვემსგავსები.
— ალბათ ნაკრების ამბებს შეიტყობდი...
— გავიგე და ძალიან მრცხვენია. სანამ ხმას არ ავუწიე და არ ვიყვირე, რომ ექსპერიმენტული ნაკრები თამაშობდა-მეთქი, არ შემეშენენ. მერე ნიშნის მოგებით ისლა მითხრეს, დარასელია და ამისულაშვილი ხომ ძირითადის ფეხბურთელები არიანო. ძალიან მეწყინა და გული დამწყდა ჩვენი გუნდის ასეთი თამაშის გამო.

დავით მამუკაძე



დავით მამუკაძე



ინგლისი პრემიერლიგა. XXVI ტურში

ჩელსი 1:2 არსენალი
მწვრთნელი: კლაუდიო რანieri
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპელი...

მანჩესტერ იუნ. 1:1 ლივერპული
1:0 სკოულზი (64), 1:1 სმიტი (67)
მანჩესტერ იუნ. პოგარდი, გ. ნევილი...

ნიუკასლი 2:1 მიდლსბრო
0:1 ზენდენი (33), 1:1 ბელამი (63), 2:1 შირერი (83)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაი...

ჩარლტონი 3:2 ბლემპინი
1:0 კ. კოული (10), 2:0 იუელი (36), 2:1 ე. კოული (74), 2:2 ფრიდელი (90), 3:2 იენსენი (90)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშვილი, პერი...

საუთჰემპტონი 3:3 ვებრტონი
0:1 რუნი (7), 0:2 ფერგუსონი (32), 1:2 ფილიპი (58), 1:3 რუნი (78), 2:3 ბიტი (82), 3:3 ფერნანდესი (90)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, მიხაელ...

Table with 3 columns: Team Name, Goals Scored, Goals Conceded. Lists teams like Arsenal, Manchester United, Newcastle, Charlton, Southampton, Wigan.

თოფი ისპრის და ისპრის



ჩელსი — არსენალი. ეიდურ გუდიონსენმა „მეთოფებს“ კი გაუტანა, მაგრამ მატჩის ბოლომდე ჩამთავრება არ დასცალდა

გაფრთხილება: ლე სო მსაჯე: დოუდი
31 875 მავურებელი
ბოლტონი 1:3 მანჩესტერ სიტი
1:0 ნოლანი (22), 1:1, 1:2 ფაულერი (27, 31), 1:3 ჩარლტონი (50ს.კ.)

ბოლტონი: იასკელაინენი, ოტსემოზორი (პანტი 69), ჰაუი, ჩარლტონი, ბერნესი, კამპო, ნოლანი, ფრანდსენი (ოკოია 56), ჯორკაეფი (ზაგი მორენო 57), პედერსენი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მანჩესტერ სიტი: ჯეიმი, რაიტ-ფილიპი, რ. დანი, დისტინი, ტარნატი, ტ. სინგლერი, მაკანამანი (ჯორდანნი 90), კ. რენა, სპიტი (სკი 74), ფაულერი (რ. ელიოტი 88)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: დანი, მაკანამანი
მსაჯე: დანი
27 301 მავურებელი
ვულვერჰემპტონი 2:1 ვულვერჰემპტონი
1:0 ინისი (20), 2:0 კორტი (51), 2:1 მალბრანგი (84)
ვულვერჰემპტონი: ა. ჯოუნსი, ნილორი, ბატლერი, კრადოკი, კლაიდი, კენედი, რაუ, ინისი, ტ. კამარა, კორტი (კამერონი 90), კ. მილერი (განია 78)
მწვრთნელი: დევიდ ჯონსი
ვულვერჰემპტონი: ვან დერ სარი, ბოკანეგრა, ნათი (ჯეტუ 74), პირსი, ვოლცი, ბოა მორტი, შ. დევისი, ლეგინსი, მალბრანგი, ჰელისი (ბეტა 67), მაგრაიდი
მწვრთნელი: კრის კოლმენი
გაფრთხილება: ინისი
მსაჯე: ვეტი
28 424 მავურებელი
ასტონ ვილა 2:2 ბირმინგემი
1:0 ვასელი (21), 2:0 ბილსპერგერი (47), 2:1 ფორსელი (60), 2:2 ჯონი (90)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, იონსენი (დაბლინი 52), ჯ. სამუელი, პენდრი (დ. მური 81), სოლანი, ბივლსპერგერი, ბერი (უიტინგემი 56), ვასელი, ა. ანელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბირმინგემი: მიკ ტეილორი, ტუბილი, კანინგემი, პარსი, კენა (ჯონი 83), დ. ჯონსონი, კლეიფსი (დ. დანი 55), სევიჯი, ბ. პოუზი, დეუგარი (მორისონი 55), ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ჯონსონი
მსაჯე: უინტერი
40 061 მავურებელი

კი გვარიანი ბრალი დაიღო სტუმართა მეორე გოლი: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ასცდა, ზედახორაში კი ედუმ იმარჯვა.

რომან აბრამოვიჩი კი ალბათ უკვე მიხვდა, რომ პრემიერლიგის ჩემპიონი ასე ვერ გახდება. ხოლო კლავდიო რანieri კი თქვა: „ცხრა ქულა ბევრია ამ ეტაპზე“. რეალურად კი, სწორედ ეს თამაში იყო იმის გადამწყვეტი, გააგრძელებდა თუ არა „ჩელსი“ ტიტულისთვის ბრძოლას, მაკლან გენდოდა ამ თამაშის მოგება. უმნიშვნელოვანესი დღე იყო — კმაყოფილებას ვერ მალავდა არსენ ვენგერი.

კმაყოფილებას ვერ მალავდა არსენ ვენგერი. ფერგუსონი, ვინც „ლიდსთან“ სასტარტოში როი კინი არ დააყენა და გამოცხადებული სამი ქულა დაკარგა „მანჩესტერისთვის“ ეს იყო უიღბლო თამაში, რაიან გიგზის ძელი, რუუდ ვან ნისტელიოის მიერ აცოლებული ბურთები და მიკაელ სილვესტრის ტრავმა „მანჩესტერმა“ ძლივს გაიტანა 64-ე წუთზე — პოლ სკოულზმა „ლიდსის“ დუბლიორი მეკარის სკოტ ვარსონის მოგერიებულს მიუსწრო. სამივე წუთში იორკშირელთა გემრამ ალან სმიტმა კლასიკური თავუთი გაათანაბრა და მკვლევარმა ვულვერ ვაიტანეს „ჩემპიონობისთვის“ ბრძოლას გაგრძელებით — თავისი არ დაიშალა ფერგუსონმა — ძეგლი, მაგრამ შესაძლებელი.

ამ გმირული ფრეს მიუხედავად „ლიდსი“ მაინც ბოლო ადვილზე დარჩა, რადგან „ვულვებმა“ „ვულვებს“ მოუგო, ამ თამაშში კი ანგარიში პოლ ინსმა გასწავა. ხმაურიათი ამბავი დატრიალდა „ბოლტონში“, სადაც იქაური ლუჯუნი თავიდანვე უგებდნენ საბრალი „სიტის“, მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ რობი ფაულერიმა ძველი დრო გაიხსენა და დუბლი აასრულა. სამიონ ჩარლტონმა კი ავტოგოლით დაგვამახსოვრა თავი, საიდანაც ის გამოდგა, რომ კევინ კიგანის გუნდმა 15-ტურიათი მიმდინარე შემდეგ პირველად მოიგო. „ნიუკასლმა“ ცხვირიათი აართვა თამაში კარგად მომართულ „მიდლსბროს“ და ალან შირერის პენალტით გაიმარჯვა. „ჩარლტონმა“ ბოლო ოთხ თამაშში პირველად მოიგო, მსხვერპლი კი „ბლემპინი“ იყო. „საუთჰემპტონი“ მასპინძლობდა „ვეებრტონს“ და ზღვისპირა ქალაქში აიწყვეტა უეინ რუნი. სამხრეთელეები უმწვერთნელიოდ არიან: კორდონ სტრანანი გუნდს გამოეთხოვა და ქალაქი ელის გლენ პოდლის დაბრუნებას. „ვეებრტონი“ ვერ 2:0-ს იგებდა, მერე 3:1-ს: რუნის გოლებს შუა დანკან ფერგუსონმა (რა თქმა უნდა თავური) შეავლო. თუ მტა, ამბავი 81-ე წუთიდან გახურდა, როცა ჯეიმს ბიტიმ პენალტით შეამცირა სხვაობა, ბოლო წუთზე კი ზღაპარი დატრიალდა: შემცვლელმა ფაბრის ფერნანდესმა 25 მეტრიდან ჩააჭვდა ბურთი კარში და „წმინდანებს“ ქულა მოუპოვა.

პრემიერლიგის დასრულებამდე დარჩა 12 ტური. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ „არსენალმა“ მოიპოვა ამოსუნთქვის საშუალება.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

Table with 2 columns: Team Name, Points. Lists teams like Arsenal, Tottenham, Newcastle, etc.

საქართველოს ჩემპიონატი

22 თებერვალი. შპრის ხალი

სტუ 87:85 დინაო

23:25 21:23 21:14 22:23
სტუ-ჯეოსტალი: გაგნიძე (6), ხეცურია...



„დინაო“ ძღვეს ხარობს სტუ

22 თებერვალი. რუსთავი

რუსთავი 85:69 სსუ


NBA რეგულარული ჩემპიონატი

20 თებერვალი

ორლანდო 102:98 დენვერი
ორლანდო: ლუ (8), ბოგანსი (9), მაკ...

დატროიტ 87:88 მინესოტა
დატროიტ: პამილიტონი (24), ბილა...


ლიუკაისი 116:88 ფილადელფია
ლიუკაისი: ონილი (29) ტულა, 19 მო...



ნბა-ს ორი კოშკი: 226-სანტიმეტრიანი პიუსტონელი იაო მინგი...

პორტლენდი 105:84 პოსტონი
პორტლენდი: სტუდემაიერი (16), ანდ...

დავით ქვეციშვილი ბრინჯაოთი დაჯილდოვდა



დავით ქვეციშვილი

ამ უქმეებზე გერმანულ კამპურში ჩატარდა დიუდოსტა მორიგ საერთაშორისო სალიცენზიო...

ქვეციშვილმა ერთმანეთის მიყოლებით კანადელ ჟან ფრანსუა მარსელოს...

ოთარ მაღლაკელიძე

ერთი გავარდა, ორი დაიჭრა

ათენის ოლიმპიური თამაშების შვედობიანად ჩატარებისთვის იქაური უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები...

რეგულარული ჩემპიონატი

Table with NHL logo and game results: 20 თებერვალი, 21 თებერვალი.



კოლორადოელი კოდი მაკკორმიკი და დალასელი ბრენდან მორიუ შეტებულან


ასურებს

2004 წელი, მოგვსხვებით, თლიმპიურია და ათენამდე თავის ბარაქიან ტან-ფეხს ასურებს მერიონ ჯონსი. თან არა მხოლოდ ასურებს, გზადავზა რაღაც ტიტულებსაც კრეფს. როგორც ბირმინგემიდან გვატყობინებენ, რამდენიმე თვის წინ ნამშობიარებმა ჯონსმა იქაურ ვრან პრიში სივრცეში სტომა მოივო.

REUTERS პირამინგემიდან



REUTERS პეკინიდან



გვისაროდან, ამერიკა რვენთანაა!

გაუხარიათ ჩინეთში და კალათში ბურთიც შეუტყორცნავთ. იაო მინგი ამ საქმეში ნაკლებად ურევია. გადაწყვეტილი ამბავია, ჩინეთის საკლავოტურთო ნაკრებს ყოჩალი ამერიკელი სპეციალისტი, ბოლოს „დალასში“ ასისტენტად ნამუშევარი დელო ჰარისი უმასწავლებლებს. ჰოდა, ამ საამო ცნობის გასამავრებლად იაო მინგის ქვეყანაში ერთი-ორი ფოტოაპარატი გაჩნავუნდა.

სარბიელი
საორტული გაჯეთი


გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზაცია,
საგაბათს, ოთხგაბათს,
სუთგაბათს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შონგვიანი
დირექტორი გიორგი ოპროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაიაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: ვიოლენტიანა, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, ვიორჯი დარჯიანი, ვიორჯი ვაშაქიძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვალაუაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაგელიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>



ნაკლადები გოგო

ამერიკისთანა მობილიზებულ ქვეყანაში ქალი სპორტსმენი, თუნდაც ფეხბურთელი, აბა, ვის გაუკვირდება. მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია. ეს ფეხისმქნეველი ვოგონა, ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდის დამრტყმელი კეტი პინდა ამბობს, რომ კოლორადოს უნივერსიტეტის კაცების გუნდში თამაშისას მე და კიდევ ხუთ სხვა გოგოს ჩემი თანაგუნდელი ბიჭები გვაკვირებენ და ჯგუფურად გავგაუპატიურესო. პინდას მონაცელი ეს ამბავი 2000 წელს მომხდარა.

REUTERS ლანგეინიდან

განაგდე!


ხალხი მოქუნდება და სტიტენის ქონსიონელები ამ დაფასაც დაარჩობენ. ზედ კი განხულოთ შეგონებას — თუკი გაცდუნებო, განავდე თოვლი შენი, ბოთლი შენი, დანა შენი და ბომბი შენიო. ჭკუით მოიქცითო, რაღა, და ამ ყველაფერს წყვილი თხილამური გერჩივითო.



REUTERS პლანცინიდან

აბა, რა ეგონა!

კაცს კონტინენტის უსწრაფესი სპრინტერი გერქვას და რაღაც მამამადლობებით იჭყიებოდე? კანონიან ქვეყნებში ასეთებს მატყუარებს ეძახიან და კანონით უსწორდებიან. ზის ახლა ბრიტანელი ევროჩემპიონი დუეინ ჩამბერსი ანტისადობინგო მოსმენახე და თროსანი ბავშვივით თავს იმართლებს, საიდან აღმოჩნდა მის შარდში სტეროიდი ტეტრაპიდროგესტრინონი. და თუ გერ გაიმართლა...



REUTERS ლონდონიდან